განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება.

1. გაიზარდოს როგორ შემოსულობები, ასევე გადასახდელები 1 161 739,4 ლარით, კერძოდ:

ა) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 19 დეკემბერი N2168 განკარგულების (ძირი განკარგულება 31 დეკემბერი 2024 წლის N1955) შესაბამისად გადასახდელებში **გაიზარდოს** 1 615 461 ლარით შემდეგი სამუშოები: ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: საკაო-ლაგვანთა-მაჟიეთსა და ხიდეშლები საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშოები (ასფალტო-ბეტონის საფარი) 1 047 641 ლარი; სოფელ წედისის მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (ასფალტო-ბეტონის საფარი) I ეტაპი 398 905 ლარი; ონჭევის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მყარი საფარი 168 915 ლარი. ამავე განკარგულების ფარგლებში **შემცირდეს** 497 117 ლარით შემდეგი სამუშოები: სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) 47 ლარით, სოფელ ჟამქვის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით (III ეტაპი) 399 ლარით, ქ. ონში გარე განათების რეაბილიტაცია 1 348 ლარით, სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით (II ეტაპი) 138 ლარით, ქ.ონში სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა 2 903 ლარით, სოფელ ჭიორაში მინი სტადიონის მოწყობა 76 ლარით, სოფელ ცხმორში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა 23 100 ლარით, ბეერ-შევას პარკში არსებული სპორტული კომპლექსის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1 700 ლარით, სოფელ პატარა ღებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაო 2 693 ლარით, შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზის უზუნთა-საჩხერე-შქმერი-ონის მონაკვეთზე გადასახედის მოწყობა 335 300 ლარით, სოფელ ცხმორში ახალი შიდა სასოფლო გზის მოწყობა (გრუნტის საფარი) 11 410 ლარით, სოფლებში წყალსადენი სისტემების რეაბილიტაცია 99 706 ლარით, ქ.ონში არსებული საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა 11 042 ლარით, სოფელ უწერაში ადმინისტრაციული შონობის ეზოს შემოღობვა 2 660 ლარით, ქ.ონში ჩიხების ასფალტირება 4 595 ლარით.

გ) **გაზრდილი** იქნას 50 924,4 ლარით, კერძოდ: „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 30/09/2025 წლის N1604 განკარგულებით საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის 30 070 ლარით და საქართველოს მთავრობის N302 დადგენილების საფუძველზე მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის 20 854,40 ლარით.

დ) **შემცირებული** იქნას, როგორც შემოსულობები ასევე გადასახდელები ბულგარეთის რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დარჩენილი ეკონომია 7 529 ლარით.

ე) „მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 10/12/2025 წლის N2082 განკარგულებით გამოყოფილი თანხით 400 000 ლარი, რომლის საფუძველზეც შემცირებული იქნას გრანტების - მიზნობრივი ტრანსფერი - 45 655 ლარით, ხოლო სხვა შემოსავლების შემდეგი სახეები: პროცენტი - 104 345 ლარით, ნებყოფლობითი ტარანსფერები, გრანტების გარეშე - 35 000 ლარით, არაფინანსური აქტივების კლება - 215 000 ლარით.

2. შემცირებული იქნას გადასახდელები: რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის ხარჯი 20 024 ლარით, ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდია 22 000 ლარით, საკრებულოს

სახელფასე ფონდი 30 000 ლარით, მერიის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 29 000 ლარით: სულ შემცირებული იქნას 101 024 ლარი.

3. გაიზარდოს გადასახდელებში 101 024 ლარით შემდეგი ღონისძიებები: ავადმყოფთა სოციალური დაცვის ხარჯი 11 000 ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა 1 000 ლარით, ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთნ დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები 4 000 ლარით, წილობრივი თანამონაწილეობის თანხები ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: საკაო-ლაგვანთა-მაჟიეთსა და ხიდეშლები საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშოები (ასფალტო-ბეტონის საფარი) 55 139 ლარი; სოფელ წედისის მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (ასფალტო-ბეტონის საფარი) I ეტაპი 20 995 ლარი; ონჭევის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მყარი საფარი 8 890 ლარი.

4. გადატანილი იქნას, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა, ონის მუნიციპალიტეტის გამარჯვებული საფეხბურთო გუნდი „ონი"-ს ფინალურ შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობის მიღების მიზნით ტრანსპორტირებისთვის (ონი-თბილისი, თბილისი-ონი) 960 ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღებსა და სოფელ ფარახეთში დაზიანებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 15 999 ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღების მიმდებარედ (შოდის მთა) გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის ექსკავატორის გადაყვანა 1 959 ლარი; მერიის შენობის სახურავის შეკეთების სამუშაო 3 401 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 27 870 945 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი